



Research

საქართველოს ეკონომიკური კლიმატი



III კვ. 2024

გამოცემა 27

საქართველოს ეკონომიკური კლიმატი, III კვ. 2024



Research

„საქართველოს ეკონომიკური კლიმატი“ პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) პროდუქტია.

ამ ბიულეტენში, რომელიც ifo ინსტიტუტის მეთოდოლოგიას ეყრდნობა, განხილულია საქართველოს ეკონომიკური კლიმატი ქართველ ეკონომისტთა შეფასებით.*

აღნიშნული გამოცემისთვის კვლევა ჩატარდა 2024 წლის სექტემბერში.

**იმ ეკონომისტების რაოდენობა, რომლებსაც ეგზავნებათ კვარტალური კითხვარი შეადგენს 60-ს. გამოხმაურების დონე, მესამლოა, მერყეობდეს კვარტლების მიხედვით.*

შეტამება



Research


2024 წლის III კვარტალში ჩატარებული ქართველი ეკონომისტების გამოკითხვის მთავარი მიგნებებია:

- ქართველი ეკონომისტები მცირედით პოზიტიურად აფასებენ საქართველოს მიმდინარე ეკონომიკურ მდგომარეობას, მათი მოლოდინი მომდევნო ექვსი თვის თავზე საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის მიმართ კი ნეგატიურია. შეფასებები მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული წინა კვარტალთან შედარებით.
- 2024 წლის პროგნოზი რეალური მშპ-ს ზრდასთან დაკავშირებით საშუალოდ 6.7%-ს შეადგენს.
- მომდევნო ექვსი თვის ბოლოსთვის წლიური ინფლაციის მაჩვენებელი გაიზრდება. 2024 წლისთვის მოსალოდნელი ინფლაციის მაჩვენებელი საშუალოდ 3.5%-ია.
- მოსალოდნელია, რომ მომდევნო ექვსი თვის ბოლოსთვის, 2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ექსპორტისა და იმპორტის მოცულობები გაიზრდება.
- დამატებით, გამოკითხული ეკონომისტების თანახმად:
 - 2024 წლის III კვარტალში საქართველოს ეკონომიკაზე ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და მუშახელის დეფიციტმა.
 - აშშ-ს დახმარების შეჩერება, “რომელიც პირდაპირ სარგებელს მოუტანდა საქართველოს მთავრობას,” შეფასდა ძალიან ნეგატიურად საქართველოს ეკონომიკისთვის. ეკონომისტები ელიან, რომ შეჩერება ნეგატიურ გავლენას მოახდენს უცხოური ინვესტიციების ნდობაზე და სხვა ქვეყნების მიერ საქართველოს მხარდაჭერასა და დახმარებაზე.
 - სამომავლო ინფლაციის გაზრდის ყველაზე მნიშვნელოვან საფრთხეებად დასახელდა გაზრდილი შიდა გაურკვევლობა, გაზრდილი გლობალური გაურკვევლობა და საქონლის მოსალოდნელზე მაღალი ფასები.
 - ეროვნული ბანკის მიერ საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზის გაუმჯობესების ძირითად განმაპირობებელ ფაქტორებად მათ დაასახელეს: ინფლაციის შემცირება, საერთაშორისო ვაჭრობისა და ფულადი გზავნილების ზრდა.
 - ეკონომისტებმა მსოფლიო ბანკის პუბლიკაციიდან გამოარჩიეს სამი ძირითადი რეკომენდაცია, რომლებიც რელევანტურია საქართველოს ეკონომიკის ზრდისთვის: ინოვაციების პრიორიტეტიზაცია, ინვესტიცია ახალ უნარებსა და განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიებში და ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლების გაუმჯობესება.

საქართველოს ეკონომიკური კლიმატი

- გამოკითხვის თანახმად, 2024 წლის III კვარტალში ქართველმა ეკონომისტებმა საქართველოს მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობა მცირედით დადებითად შეფასეს. მათი შეფასება გაუმჯობესდა წინა კვარტალთან შედარებით, მაგრამ გაუარესდა 2023 წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით.
- 2024 წლის III კვარტალში გამოკითხული ეკონომისტების მოლოდინი მომდევნო ექვსი თვის თავზე საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის მიმართ ნეგატიურია, თუმცა მათი მოლოდინი არსებითად გაუმჯობესდა წინა კვარტალთან შედარებით.

საქართველოს ეკონომიკური კლიმატი, III კვარტალი




მაკროეკონომიკური პროგნოზები


გარდა იმისა, რომ გამოკითხულმა ექსპერტებმა შეაფასეს არსებული ეკონომიკური მდგომარეობა და დააფიქსირეს მოლოდინი მომდევნო ექვსი თვის ბოლოსთვის, მათ გააკე-

თეთეს საქართველოსთვის ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზი.

გრაფიკი 1: რეალური მშპ-ს ზრდა საქართველოში და მისი პროგნოზი 2024 წლისთვის (პროგნოზი გაკეთებულია გამოკითხული ეკონომისტების მიერ 2024 წლის III კვარტალში)



გრაფიკი 2: საშუალო წლიური ინფლაცია საქართველოში და მისი პროგნოზი 2024 წლისთვის (პროგნოზი გაკეთებულია გამოკითხული ეკონომისტების მიერ 2024 წლის III კვარტალში)




- 2024 წლის პროგნოზი **რეალური მშპ-ს ზრდასთან** დაკავშირებით საშუალოდ **6.7%-ს** შეადგენს. ეს მაჩვენებელი 1.2 პროცენტული პუნქტით **გაუმჯობესდა** წინა კვარტალში გაკეთებულ პროგნოზთან შედარებით.
- მომდევნო ექვსი თვის ბოლოსთვის მოსალოდნელია წლიური ინფლაციის ზრდა წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით. 2024 წლისათვის **მოსალოდნელი ინფლაციის მაჩვენებელი** საშუალოდ 3.5%-ია, რაც 1.5 პროცენტული პუნქტით ნაკლებია წინა კვარტლის პროგ-

- ნობთან შედარებით.
- მოსალოდნელია, რომ მომდევნო ექვსი თვის ბოლოსთვის, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ქართული ლარი **გაუფასურდება** აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით, ხოლო **გამყარდება** რუსულ რუბლთან და თურქულ ლირასთან მიმართებით.
- მომდევნო ექვსი თვის ბოლოსთვის, 2023 წელთან შედარებით, მოსალოდნელია **ექსპორტისა და იმპორტის მოცულობების ზრდა**.

დამატებითი კითხვები

- გამოკითხვის ფარგლებში, 2024 წლის III კვარტალში ეკონომისტებმა საქართველოს ეკონომიკაზე ყველაზე დიდი გავლენის მქონე ფაქტორებად დაასახელეს პოლიტიკური არასტაბილურობა და მუშახელის დეფიციტი. ასევე, მნიშვნელოვანი გავლენის მქონე ფაქტორებს შორის აღმოჩნდა ემიგრაციის მაღალი მაჩვენებელი, უკრაინაში მიმდინარე ომი და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირება.
- გამოკითხული ეკონომისტების შეფასებით, საქართველოს ეკონომიკაზე უარყოფით ფაქტორებს (პოლიტიკური არასტაბილურობა, მუშახელის დეფიციტი) უფრო დიდი გავლენა აქვს, ვიდრე პოზიტიურ ფაქტორებს (მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირება და დაბალი ინფლაცია).

გრაფიკი 3: შეაფასეთ 1-დან (საერთოდ არ აქვს გავლენა) 5-მდე (ძალიან მაღალი გავლენა) რომელ ფაქტორებს ჰქონდათ ყველაზე დიდი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე 2024 წლის III კვარტალში




დამატებითი კითხვები

- 2024 წლის ივლისში აშშ-სა და საქართველოს შორის ორმხრივი თანამშრომლობის ყოვლისმომცველი გადახედვის ფარგლებში, აშშ-მ შეაჩერა \$95 მილიონიანი დახმარება, „რომელიც პირდაპირ სარგებელს მოუტანდა საქართველოს მთავრობას.“*
- გამოკითხულ ეკონომისტთაგან თითქმის ყველამ (96%) დახმარების შეჩერება


რება ნეგატიურად ან ძალიან ნეგატიურად შეაფასა.

- რესპონდენტები ფიქრობდნენ, რომ დახმარების შეჩერება ყველაზე ნეგატიურად იმოქმედებს უცხოური ინვესტიციების ნდობასა და სხვა ქვეყნების მიერ საქართველოს მხარდაჭერასა და დახმარებაზე.

გრაფიკი 4: თქვენი აზრით რა ეფექტი ექნება აშშ-ის მიერ დახმარების შეჩერებას საქართველოს ეკონომიკაზე?



გრაფიკი 5: თუ ფიქრობთ, რომ აშშ-ის მიერ შეჩერებული დახმარება ნეგატიურად იმოქმედებს საქართველოს ეკონომიკაზე, თქვენი აზრით, ჩამოთვლილთაგან რომელი ასპექტი დაზარალდება ყველაზე მეტად?




* <https://www.state.gov/united-states-to-pause-assistance-to-the-government-of-georgia>

დამატებითი კითხვები

- 2024 წლის ივლისში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გამოაქვეყნა მონეტარული პოლიტიკის ანგარიში. ანგარიშის მიხედვით, მიმდინარე პროგნოზი 2024 წლის საშუალო ინფლაციისთვის 1,9%-ია, ხოლო 2025 წლისთვის - 4,2%-ს შეადგენს. ანგარიში განსაზღვრავს ძირითად რისკებს, რომლებმაც შეიძლება, ხელი შეუწყოს მომავალში ინფლაციის პროგნოზის გაზრდას.
- გამოკითხულმა ეკონომისტებმა ყველაზე მნიშვნელოვან რისკებად დაასახელეს შიდა ფაქტორების გამო გაურკვევლობის მოსალოდნელზე მეტად ზრდა, გლობალური ფაქტორების გამო გაურკვევლობის მოსალოდნელზე მეტად ზრდა და საქონლის მოსალოდნელზე მაღალი ფასები.

გრაფიკი 6: გთხოვთ, შეაფასოთ თითოეული რისკის პოტენციური გავლენა მომავალ ინფლაციაზე.




დამატებითი კითხვები

- საქართველოს ეროვნული ბანკის განახლებული შეფასების მიხედვით, 2024 წლის მშპ-ს რეალური ზრდის პროგნოზი 6.8%-მდე გაიზარდა, რაც 1,2 პროცენტული პუნქტით აღემატება წინა პროგნოზს - 5.6%-ს.
- გამოკითხული ეკონომისტების აზრით, ეკონომიკური ზრდის გაუმჯობესებული პროგნოზი **გაზრდილმა ფულადმა გზავნილებმა, გაზრდილმა საერთა-**

შორისო ვაჭრობამ და ინფლაციის მაჩვენებლის შემცირებამ გამოიწვიეს.

- აღსანიშნავია, რომ ეკონომისტების აზრით, პროგნოზის გაუმჯობესებაზე გავლენა არ მოუხდენია **პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, ხელსაყრელ მარეგულირებ გარემოს და გაუმჯობესებულ ტექნოლოგიებს.**

გრაფიკი 7: 1-დან (საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი) 5-მდე (ძალიან მნიშვნელოვანი) შეაფასეთ, თქვენი აზრით, რომელმა ფაქტორებმა მოახდინეს გავლენა ეკონომიკური ზრდის პროგნოზის გაუმჯობესებაზე.



დამატებითი კითხვები

- მსოფლიო ბანკის პუბლიკაციაში **Middle Income Trap***, რამდენიმე საკვანძო გზავნილია საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებისთვის, რათა მათ დაძლიონ პრობლემები და გახდნენ მაღალშემოსავლიანი ქვეყნები.
- ეკონომისტებმა შეაფასეს პუბლიკაციაში წარმოდგენილი რეკომენდაცი-

ების რელევანტურობა საქართველოს ეკონომიკურ ზრდასთან მიმართებით.

- რეკომენდაციებიდან ყველაზე რელევანტურად შეფასდა **ინსტიტუციების გაძლიერება, კვალიფიციური სამუშაო ძალის განვითარება და ინოვაციის წახალისება.**

გრაფიკი 8: შეაფასეთ 1-დან (საერთოდ არარელევანტური) 5-მდე (ძალიან აქტუალური) რომელი რეკომენდაციები მიგაჩნიათ აქტუალურად საქართველოს ეკონომიკის ზრდისთვის.


ინსტიტუციების გაძლიერება: ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლების გაუმჯობესება



კვალიფიციური სამუშაო ძალის განვითარება: ინვესტიციები ახალ უნარებში, იდეებსა და განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიებში.




ინოვაციების წახალისება: ინოვაციის, როგორც ეკონომიკური ზრდის მამოძრავებლის პრიორიტეტიზაცია




შექმნის და მობილურობის წახალისება: პოლიტიკის გაძლიერება, რომელიც ხელს უწყობს ღია ვაჭრობას, შესაძლებლობებს და იდეებისა და ნიჭის თავისუფალ მოძრაობას



მაღალი პოტენციალის მქონე კომპანიების მხარდაჭერა: კომპანიების მხარდაჭერა მათი ღირებულების, სამუშაო ადგილების, ექსპორტისა და ინოვაციების მიხედვით და არა კომპანიის ზომით



კლიმატის შესაძლებლობების გამოყენება: კლიმატის კრიზისი გამოყენება გლობალური ბაზრის შუალედური მწვანე პროდუქტების სანარმოებლად




- არ მაქვს მოსაზრება
- ოდნავ რელევანტური
- რელევანტურია

- საერთოდ არ არის რელევანტური
- საშუალოდ რელევანტურია
- ძალიან რელევანტურია


*World Development Report 2024

სხვა ეკონომიკური ინდიკატორები საქართველოში


გრაფიკი 9: მშპ ერთ სულ მოსახლეზე მიმდინარე ფასებში




გრაფიკი 10: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მისი შეფარდება მშპ-სთან



გრაფიკი 11: სახელმწიფო საგარეო ვალი და მისი შეფარდება მშპ-სთან



გრაფიკი 12: უმუშევრობის დონე



სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMCG არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMCG არ იძლევა გარანტიას, რომ:

- პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;
- რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMCG იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMCG თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMCG-ის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამონვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMCG-ს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგებლობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMCG დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამონვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMCG-ის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMCG-ის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMCG-ს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არ აღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3
სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

გუგულა ცუხიშვილი
უმცროსი მკვლევარი
g.tsukhishvili@pmcginternational.com

გიორგი შოგირაძე
უმცროსი მკვლევარი
g.shogiradze@pmcginternational.com